PDF Eraser Free

დანართი №1

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ტიტე ბოლქვაძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრი:

ვახტანგ ბოგველიშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

თბილისი, 2020

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

III. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 2020 წლის 21 მაისის სხდომაზე შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით „სარკინიგზო გადაზიდვების“ საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია-ვალიდაციასთან მიმართულებაში და ასევე შვიდწლიან გეგმასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესამოწმებლად. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2020 წლის 21 ივლისის #618359** ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - ტიტე ბოლქვაძე (ჯგუფის თავმჯდომარე), ვახტანგ ბოგველიშვილი (ჯგუფის წევრი), განახორციელა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი, დოკუმენტების შესწავლის გზით.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა დოკუმენტების შესწავლის გზით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეაფასოს ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის (ბ.დ) კომპონენტი და ასევე 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილში გაცემულ რეკომენდაციებთან შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფს ცენტრისგან მიეწოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შვიდწლიანი გეგმა და 2.4 კომპონენტის შესაფასებლად დოკუმენტაცია. კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა 2020 წლის 10 ივნისის ოქმი #2 ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის შესახებ და შეხვედრაზე დასწრების ფურცელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, დასკვნა და სხდომის ოქმი. აღმოჩნდა, რომ სასწავლო გეგმები დაწესებულების მხრიდან შეცდომით იქნა გადმოგზავნილი სხვა პროგრამის, რის თაობაზეც ეცნობა დაწესებულებას და 2020 წლის 27 ივლისს დაწესებულებამ დამატებით გადმოაგზავნა შესამოწმებელი პროგრამის სასწავლო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა:

კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების დანართი #7, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2023 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 4 თებერვლის #2 ბრძანებით, ხოლო ცვლილება განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #29 ბრძანებით, სადაც გათვალისწინებულია ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

„სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გამომდინარეობს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

გეგმაში მოცემულია კოლეჯის მისია, ხედვა, კოლეჯის ღირებულებები და სამუშაო პრინციპები. ასევე რკინიგზის კოლეჯის ისტორია, სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები, კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები, სახელმწიფოს მხარდაჭერა და პოლიტიკა, დამსაქმებელთა ინტერესი, რისკები, ორგანიზაციული მიმოხილვა, ორგანიზაციის გამოწვევები და ძლიერი მხარეები, SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის ცხრილის სახით, სადაც წლების მიხედვით არის გაწერილი კოლეჯის მიერ განსახორციელებელი აქტივობები.

2016-2023 წლების განმავლობაში კოლეჯი ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს:

1. პერმანენტულად იზრუნებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და ახლების შემუშავება/დანერგვაზე, დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად, შექმნის და განავითარებს მოკლევადიან პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსებს, გაზრდის კურსდამთავრებულთა რაოდენობას.
2. აამოქმედებს საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემას, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმებს;
3. პერმანენტულად იზრუნებს კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არსებული პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადებასა და ახლის მოზიდვაზე, სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე, შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირებასა და განხორციელებაზე, დამატებითი შემოსავლების მოზიდვასა და ფინანსურ სტაბილურობაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მოტივირებაზე.
4. სასწავლო-სამეწარმეო, საერთაშორისო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით დანერგავს უახლეს ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებს, აამოქმედებს ერთობლივ, გაცვლით და სასტიპენდიო პროგრამებს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალისთვის.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებამ გაითვალისწინა და შეასრულა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 2.1

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, რაც რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან - **შესრულებულია;**

ქვესტანდარტი 2.4

1. რეკომენდებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით დაწესებულებამ განსაზღვროს შეფასების სისტემის თითოეული პროცედურა. კერძოდ:
- მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების პროექტის ვალიდაცია რეკომენდებულია განხორციელდეს დარგის სხვა სპეციალისტების ჩართულობით, დაწესებულების სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების ორგანიზებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
- დაიგეგმოს შეფასების განხორციელების პროცესი, დამსწრე პირები და სხვა, იმგვარად, რომ შენარჩუნდეს შეფასების პროცესის მიმართ მაღალი სანდოობა და სხვა;

2. რეკომენდებულია, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, რისთვისაც დაწესებულების მიერ რეკომენდებულია გაიწეროს შემდეგი პროცესები:

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის წესი, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ჯგუფში ისეთი პირების ჩართულობას, ვინც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ან მათი ვალიდაციის პროცესში;
- ვერიფიკაციის განხორციელების პერიოდულობა;
- ვერიფიკაციისას ჯგუფის სამუშაო ფორმები;
- ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები და სხვა - **შესრულებულია.**

VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სარკინიგზო გადაზიდვები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**დამტკიცებულია:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებით; **ცვლილება:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №8 ბრძანებით.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი:** ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60 პროფესიული სტუდენტი; ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10; დუალური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა:

- დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის (ხანგრძლივობა 80 კვირა. ქართული ენის მოდულების, A2 და B1, დამატების საჭიროების შემთხვევაში - 100 კვირა);
- დუალური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო განათლების სწავლის შედეგები (ხანგრძლივობა 122 კვირა. ქართული ენის მოდულების, A2 და B1, დამატების საჭიროების შემთხვევაში - 142 კვირა).

სასწავლო გეგმების მიხედვით, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. სასწავლო გეგმაში, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო განათლების სწავლის შედეგები, მოდულების განაწილება შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს“.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულ პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას, გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ (კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლი, 1-ელი პუნქტი). სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე:

- ✓ რკინიგზის დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში;
- ✓ 2019 წლის 9-13 და 23-27 სექტემბერს, მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებული იქნა პროფესიული განათლების მენტორ-ინსტრუქტორთა ტრენინგები, რომელიც DB Traning, Learning & Consulting-ის მიერ ჩატარდა. აღნიშნული ტრენინგი გაიარა 23-მა პირმა;
- ✓ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წლის ივნისიდან ნოემბრამდე ჩატარდა ტრენინგები კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 35 განმახორციელებლისათვის, პროფესიული განვითარების მიზნით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი პროგრამის დუალური მეთოდით სწავლებისთვის“;
- ✓ კოლეჯის პროფესიული განათლების 15 მასწავლებელს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ჩაუტარდა ტრენინგი: ,,მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში“;

ინტეგრირებული მოდულების პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით და ამ ეტაპზე მოხდა მათი გადამზადება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. რის საფუძველზეც, ინდივიდუალური სიტუაციციიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
პროფესიული განათლების მასწავლებელი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით. შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა 5 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს, საკონტაქტო საათების 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. დაწესებულებას სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №იუს 118-029 და ასევე 2019 წლის 18 აპრილს - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება კოლეჯის აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებულ №იუს 118-029 ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო გეგმა „სარკინიგზო გადაზიდვები“;
2. სასწავლო გეგმა „სარკინიგზო გადაზიდვები“, რომელშიც ინტეგრირებულია საშუალო განათლების სწავლის შედეგები;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის N59 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შინაგანაწესში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შეტანისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის წესის და მატერიალური რესურსის მართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის N43 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ;
4. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
5. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2018 წლის 6 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №იუს 118-029 და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2019 წლის 18 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N40) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“. დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; მოქნილობას; სიმარტივეს; მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება განსაზღვრული სქემის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შედგება დასკვნა რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური,სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

დაწესებულების დირექტორმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე წერილის პასუხად, დამატებით წარმოადგინა განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტით ,,პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი" განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარკინიგზო გადაზიდვების" მოდულების შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის დოკუმენტები (ოქმი N2: ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, თანდართული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემითა და ვერიფიკაციის დასკვნით; დასწრების ფურცელი 10.06.2020).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით (ცვლილება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N40) დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ რის თანახმადაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, რომელსაც სავალდებულოა გაეცნოს პრაქტიკის ინსტრუქტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანება (ცვლილება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N40) ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
2. ოქმი N2, ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, 10.06.2020;
3. დასწრების ფურცელი, 10.06.2020.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

IX. თანდართული დოკუმენტაცია

05.08.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: